სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

პრესრელიზი

18.12.2015წ.

საკონტაქტო პირი: ეკა გაბადაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი
ელ.ფოსტა: egabadadze@spa.ge
ტელ: 577244454

ევროკომისიამ ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით საქართველოს შესახებ ანგარიში გამოაქვეყნა, რომელშიც ნათქვამია, რომ საქართველომ ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით ნაკისრი ყველა ვალდებულება შეასრულა.

ევროკომისიის დასკვნით, სავიზო ლიბერალიზაციის გეგმის ოთხივე ნაწილში საქართველოს მიერ განხორციელებული პროცედურები შეესაბამება ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებს.

დოკუმენტი, სხვა საკითხებთან ერთად, ეხება, აგრეთვე, სახელმწიფო შესყიდვების თემატიკას. მასში პოზიტიურადაა მიჩნეული „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები, რომლის თანახმად სავალდებულო გახდა გამარტივებული შესყიდვების შესახებ გადაწყვეტილებების სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან შეთანხმება. საგულისხმოა, რომ მხოლოდ სააგენტოს თანხმობის შემდეგ არის შესაძლებელი სახელმწიფო შესყიდვის ზემოაღნიშნული ფორმით განხორციელება. შეთანხმების პროცედურა საჯაროა და ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია ყოველ კონკრეტულ საკითხზე თავისი მოსაზრების გამოხატვა.

განხორციელებული ცვლილებები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს გამჭვირვალე გარემოში სახელმწიფო შესყიდვების ეფექტიან განხორციელებას.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თითოეული თანამშრომელი მოხარულია, რომ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ამ მნიშვნელოვან საქმეში თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა.